შპს „ჯი თი ემ გრუპ„ "G T M GROUP" LTD
საქართველო, ზესტაფონი
სადენტიფიკაციო კოდი 404882383
ტელ: (+995 99) 56 38 82
ტელ: (+032 2 132227)
E-mail: gtmgroup@list.ru
Website: www.gtmgroup.ge

Zestafoni,Georgia;
ID CODE 404882383
Tel (+995 99) 56 38 82
Tel (+032 2 132227)
E-mail: gtmgroup@list.ru
Website: www.gtmgroup.ge

"-25-"-დეკემბერი-„ 2024 წ.
N 12/01

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ შპს „ჯი თი ემ გრუპ"-ს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. არგვეთას ტერიტორიაზე მოწყობილი აქვს ფეროშენადნობთა ქარხანა, რაზედაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 30/05/2019 წელის N 2-462 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (27.02.2012 წ. №11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე).

2022 წელს საწარმო შემოწმებული იქნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ. შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმოს ექსპლუატაციის ფაქტიური პირობები არ შეესაბამება გზშ-ს ანგარიშში მოცემულს. დარღვევებზე კომპანიას გამოეგზავნა ადმინისტრაციული მიწერილობა, რომლის შესაბამისად დაევალა სკრინინგის პროცედურის გავლა.

მიწერილობის პირობების შესრულებისა და ობიექტის გარემოსდაცვით ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მოთხოვნებისა და მე-7 მუხლის მუხლის შესაბამისად, შემუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარდგენილი იქნა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

სააგენტოს უფროსის 2024 წლის 15 იანვრის N39/ს ბრძანებით, მიღებულ იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. არგვეთაში შპს „ჯი თი ემ გრუპის" მეტალურგიული წარმოების (ფეროშენადნობთა ქარხნის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

შპს „ჯი თი ემ გრუპი" ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა.

ზემოაღნიშნულისა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული იქნა სკოპინგის ანგარიში.

წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ სკოპინგის დასკვნას, გთხოვთ გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

დანართი: სკოპინგის ანგარიში და ანგარიშის ელ ვერსია;
მიწის ნაკვეთების shp ფაილები.

პატივისცემით,
ა.კოჩაძე
დირექტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
-26- 12 2024 წ.
№ 12349